მხატვრები და ლიტერატორები ორი საუკუნის მანძილზე კულტუროლოგიურ ჭრილში

ბარბაქაძე ქეთევან
გოგოლაძე თამარ
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი
https://doi.org/10.52340/idw.2021.517

ქართული კულტურის ისტორია, უძველესი დროიდან მოყოლებული, თვითმყობად განვითარებასთან ერთად, სხვადასხვა დროს განიცდიდა ანტიკური (ბიზანტიური), აღმოსავლური, თუ ევროპული კულტურების გავლენასაც. XIX საუკუნის დასაწყისიდან პრესა, თეატრი, მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა სახეები ნელ-ნელა იკაფავს გზას ერის ცნობიერებაში, რასაც მოჰყვება თავის დაღწევა აღმოსავლური მინიატურიდან რეალისტურ ფერწერამდე სრულყოფის პროცესიც. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ უცხოეთის სასწავლებლებში განათლებამიღებულ ახალგაზრდებს, რომელთაც თავისდაუნებურად შემოჰქონდათ ფერწერის მანერა, სტილი და, ეს უკანასკნელი, მკვიდრდებოდა ახლადჩამოყალიბებულ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულთან ერთად. ამ თვალსაზრისით საინტერესო და საყურადღებოა ერთი ქართველი მხატვრის გიორგი (გრიგოლ) მაისურაძის (1817-1885) შემოქმედებითი ისტორია, რაც გაგრძელდა მის ოჯახიდან და შთამომავლებთან ერთად იქცა ქართული კულტურის შემადგენელ ნაწილად.

გიორგი მაისურაძის სახელი მჭიდროდ უკავშირდება პორტრეტული ჟანრის განვითარებას ქართულ ფერწერაში, რამდენადაც ეს ჟანრი ტრადიციულად მომდინარეობდა ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე მხატვრობაში, ხოლო, მიუხედავად ფოტოგრაფიის განვითარებისა, მოთხოვნადი გახდა მაღალი წრის წარმომა-დგენელთათვის. ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოში მოგზაური უცხოელი მხატვრების მიერ. „დამკვეთელთა სიმრავლე ჩვენში შესამჩნევი ხდება დაახლოებით ორმოცდაათიანი წლებიდან. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ფერწერული პორტრეტის ჟანრის განვითარებას, ხოლო პორტრეტული ფერწერა კი რეალისტური ტენდენციების გაძლიერებას იწვევს ხოლმე მხატვრობაში. ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება ის გარემოება, რომ საქართველოს ცხოვრებაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისეთი ძალები შემოდიან, რომლებიც ქართული საპორტრეტო ჟანრის ფერწერის განვითარებას არა მარტო ახალი ძალითა და სიძლიერით სწევენ წინ, არამედ ახალ ასპექტებს და ახალ შემოქმედებით მეთოდსაც კი ემყარებიან“ (შ. კვასხვაძე, 1958:9) - წერდა ხელოვნებათმცოდნე შალვა კვასხვაძე, რომელმაც შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა გიორგი (გრიგოლ) მაისურაძის ცხოვრება-შემოქმედებას. შ. კვასხვაძე არამცთუ აგროვებდა ზეპირ თუ ბეჭდურ მასალებს გიორგი მაისურაძეზე მის შთამომავლებსა თუ ნაცნობ-მეგობრებში, არამედ ეცნობოდა საარქივო მასალებს, ადგენდა მხატვრული ტილოების ავტორის ვინაობას ხელოვნების მუზეუმის ფონდებსა თუ გამოფენებში. ასე მიაკვლია მან ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) პორტრეტს, წლების მანძილზე რომ ითვლებოდა უცნობი მხატვრის მიერ შექმნილად და დაადგინა

როგორც მისი ყოფილი ყმის, ბრიულოვის აკადემიაში განათლებამიღებულ გიორგი (გრიგოლ) მაისურაძის, მიერ შექმნილად.

„ეს პორტრეტი ადრე საქართველოს საისტორიო - საეთნოგრაფიო საზოგადოების კუთვნილებას შეადგენდა. საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით იგი წარმოადგენს გენერალ-ლეინტენანტ ალექსანდრე გარსევანის ძის ჭავჭავაძის პორტრეტს; ამ პორტრეტის ადრინდელი პატრონი ნიკოლოზ ივანეს ძე საგინაშვილი ყოფილა და ფონდში მისგანვე შესულა 1910-12 წლებში; ეს სურათი ირიცხებოდა #30-ით, შემდეგ კი იგი გადაცემული იყო ხელოვნების მუზეუმის ფონდში, სადაც ინახებოდა შიფრით ხსმ /მხ 303, ხელოვნების მუზეუმი ფერწერის განყოფილებაში იგი პირველად ჩვენს მიერ იქნა აღრიცხული“ (შ. კვასხვაძე, 1959:96) - აღნიშნავდა შ. კვასხვაძე.

მკვლევარის დაკვირვებული თვალით იძლევა შ. კვასხვაძე სურათის აღწერას და, ცდილობს რა წამოაყენოს ჰიპოთეზა მისი მაისურაძისადმი მიკუთვნების შესახებ, გაუმყაროს სათანადო დასაბუთებებით საფუძველი.

მთავარი კი ერთია, რომ გ. მაისურაძე მთელი თავისი ცხოვრებით, სწავლითა თუ შემდგომი შემოქმედებით, გამოხატავდა დიდ მადლიერებას თავის კეთილის-მყოფელის, „დიდ კნიაზად“ წოდებული, რუსეთის იმპერატორის ნათლულის, ბატონის მიმართ, რომელმაც წინანდალში, ოჯახურ წრეში პირველმა შენიშნა მხატვრობის ნიჭი პატარა კახელ ბიჭუნას და გაუხსნა გზა თვით ბრიულოვის აკადემიამდე, ხოლო მოგვიანებით იგი გაათავისუფლა კიდეც ყმობისაგან.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიმოწერიდან სამხატვრო სასწავლებლების ხელმძღვანე-ლობასთან ცხადი ცხება, როგორ ცდილობდა წაეხალისებინა ახალგა-ზრდა მხატვარი, შემდგომად თვით ალექსანდრეს ქალიშვილებიც არ წყვეტდნენ გ. მაისურაძისათვის ხელის გამართვას. ასევე ეხმარებოდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილებიც.

შ. კვასხვაძემ 1940-იანი წლებიდან დაიწყო გ. მაისურაძის ცხოვრება-შემოქმედებაზე მუშაობა, მანამდე კი არსებობდა წერილები ქართულ პრესაში მ. დუდუჩავას, შერვაშიძის და სხვათა.

მხატვარ გიორგი მაისურაძეს კავშირი ჰქონდა, ერთი მხრივ, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) ოჯახთან, მეორე მხრივ, პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ უფლისწულებთან (თეიმურაზ ბატონიშვილი, ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონი, ბაგრატ ბაგრატიონი), მარი ბროსესთან, სოლომონ რაზმაძესა და გიორგი ავალიშვილითან, იოანე ბატონიშვილთან.

ქუთაისის გიმნაზიაში მოღვაწეობის დროს კი იგი ხატვას ასწავლიდა თურმე აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, ბესარიონ ღოღობერიძეს, გრიგოლ აბაშიძეს.

ამავდროულად გ. მაისურაძეს კავშირი ჰქონია (დიღომის წმინდა გიორგის ეკლესიის კანკელის მოსახატად) თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზთან ელიოზიშვილთან, რომლის დაკვეთითაც შეუსრულებია რამდენიმე ფრესკა.

ქუთაისში გ. მაისურაძე დაუმეგობრდა პოლონეთის აჯანყების მონაწილე იოსებ ფორტუნატოვ-ცეხანოვსკის, მოგვიანებით კი მან ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი პელაგია ცეხანოვსკაია.

გ. მაისურაძის შთამომავლის - ქალიშვილის ელისაბედ (ლიზა) მაისურაძე-ამირაჯიბისას (1859-1915 წ.) შვილიშვილი ნადეჟდა რევაზის ასული ამირაჯიბი ცოლად გაჰყვა ცნობილ დრამატურგს, გ. ტაბიძის, ნ. ჩხიკვაძის, გ. ქუჩიშვილის, ტ. ტაბიძის მეგობარს და გულღია მასპინძელს, პოლიო ირეთელს (კალანდაძეს 1876-1931), რომლის ქალიშვილი ცეცილია კალანდაძე გათხოვილა გორელი ექიმის კოტე ელიოზიშვილისა (1974-1954) და მარიამ

ერისთავის (საზოგადოება „მანდილოსნის“ აქტიური წევრი ს. მეჯვრისხევიდან) ვაჟზე ვახტანგ ელიოზიშვილზე, რომლის შთამომავალია მხატვარი მარინა ელიოზიშვილიც.

მცირე ინფორმაცია მხატვარ მაისურაძეზე:

გიორგი მაისურაძე (1817-1885 წ.წ.) (ლიტერატურაში ხშირად იხსენიება გრიგოლ მაისურაძედაც) - პირველი ქართველი მხატვარი რეალისტია (ბრიულოვის მოწაფე).

მამა -ივანე მაისურაძე, დედა - ელისაბედ მაისურაძე, მეუღლე - პელაგია ცეხანოვსკაია, შვილები - ელისაბედ მაისურაძე-ამირაჯიბისა; ოლიმპიადა (ოლიჩკა) მაისურაძე - თევზაძისა.

იგი დაიბადა წინანდალში 1835 წელს. გაემგზავრა მოსკოვში, სადაც 2 წლის მანძილზე სწავლობდა ხატვას. 1837 წლიდან, სწავლობდა პეტერბურგში, სამხატვრო აკადემიაში, კარლ ბრიულოვის სახელოსნოში. იყო პირველი ქართველი და პირველი კავკასიელი, რომელიც სწავლობდა და დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის კურსი 1844 წ. 12 ოქტომბერს, ჩამოვიდა საქართველოში, წელიწად-ნახევარში კვლავ დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც 1850 წლამდე დაჰყო, შემდგომში ცხოვრობდა ქუთაისში, მუშაობდა ხატვის მასწავლებლად.

მისი ნამუშევარი „ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონის“ პორტრეტი წაღებული იყო საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმიდან მოსკოვის ხელოვნების დეკადაზე. ქართულ სახვითი ხელოვნების I გამოფენაზე უნდოდათ მხატვრის „ავტოპორტრეტის“ წაღება, მაგრამ იმ დროისთვის ვერ მოძებნეს, შემდეგ იპოვეს იქვე, მუზეუმში. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში, ზუგდიდის მუზეუმში.

ცნობილმა რუსმა მწერალმა ა. ტოლსტოიმ თბილისში ყოფნის დროს, როცა ნახა გიორგი მაისურაძის ავტოპორტრეტი, აღტაცებით წამოიძახა: : „Редко приходилось мне лично читать подобную повесть о душевной жизни человека˜ ნამუშევრები: ავტოპორტრეტი. ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონის პორტრეტი; ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის პორტრეტი; სალომე ივანეს ასული ჭავჭავაძის პორტრეტი; ივანე იაკობის ძე ჭიჭინაძის პორტრეტი; ნიკოლოზ გიორგის ძე აბულაძის პორტრეტი; მაცხოვრის ხატი (დიღომის წმ. გიორგის ეკლესიაში); 1844 წ. საქართველოში დაბრუნებულმა შექმნა: თეკლე ბატონიშვილის პორტრეტი; დავით დადიანის პორტრეტი (დაცულია ზუგდიდის მუზეუმის ფონდში); მეუღლის პელაგია ცეხანოვსკაია-მაისურაძის, პორტრეტი.

1855 წ. 6 აპრილს გ. მაისურაძეს ქუთაისის საგიმნაზიო ეკლესიისათვის შეუწირავს ზეთის საღებავებით შესრულებული, ხატი მაცხოვრისა, რის გამოც 1855 წელს 26 აგვისტოს იგი დაუჯილდოვებიათ ბრინჯაოს მედლით წმინდა ანდრია პირველწოდებულის ლენტზე.

გ. მაისურაძე დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილას სასაფლაოზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მწერალი პოლიო ირეთელი (პოლიევქტის კალანდაძე) თანამშრომლობდა ჟურნალებში: „მნათობი“, „ტარტაროზი“ და „ნიანგი“. იგი წერდა მოთხრობებს, რომელთაგანაც აღსანიშნავია „ზღვის ნიავი“ (1924 წ.), მიძღვნილი ბაქოს 26 კომისრისადმი. ასევე თარგმნა ლევ ტოლსტოის „აღდგომა“, რის გამოც 1904 წელს მიანიჭეს „ივერიის“ პრემია.

პოლევქტოს კალანდაძის მეუღლე იყო მხატვრის - გიორგი მაისურაძის -შვილიშვილი, ნადეჟდა მაისურაძე.

გ. მაისურაძის ავტოპორტრეტი, რომელიც დაცული იყო ამირაჯიბების ოჯახში, მზითვად გადაეცა ნადეჟდა ამირაჯიბს. სურათი მასთან ინახებოდა მეუღლის გარდაცვალებამდე (1931 წლის 10 აპრილი). ოჯახის მარჩენალის დაკარგვის შემდეგ ქვრივს არჩენდა პოლიო ირეთელის მეგობარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი. სწორედ მან ურჩია ნადეჟდას, რომ მათ ოჯახში დაცული ავტოპორტრეტი დაეთმო

სასყიდლით საქართველოს ეროვნული გალერეისათვის. ასეც მოხდა 1933 წლის 16 ნოემბერს, ასი მანეთის საფასურად...

ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სალომე ორბელიანი-ჭავჭავაძის პორტრეტი ნაპოვნია, პელაგია ცეხანოვსკის კი - არა, როგორც ბევრი სხვა ნამუშევარი.

გიორგი მაისურაძის უფროსი ქალიშვილი იყო ელისაბედი, იგივე ლიზა (1859-1915 წ.წ.) დაკრძალულია წმინდა გიორგი ეკლესიის ეზოში). განათლება მასაც შესაფერისი ჰქონდა. ქუთაისში ყოფნის დროს დები მუსიკას სწავლობდნენ ფელიქს მიზანდართან (მასთანვე სწავლობდა მხატვრის შვილიშვილი მარგარიტაც).

ელისაბედმა დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი. გადმო-ცემით, ელისაბედი ყოფილა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის, ეკატერინას, ნათლული და სწორედ მის ხარჯზე უსწავლია.

ელისაბედმა კარგად იცოდა ფრანგული. შესანიშნავად უკრავდა როიალზე. იგი ცოლად გაჰყვა ქართველ თავადს - რევაზ დიმიტრის ძე ამირაჯიბს (დაბადების მოწმობასა თუ სხვა დოკუმენტებში სწორედ ამირაჯიბი წერია და არა ამირეჯიბი).

ელისაბედ და რევაზ ამირაჯიბის ოჯახში სამი შვილი გაიზარდა - მარგარიტა, ნადეჟდა და დიმიტრი.

მარგარიტა ამირაჯიბი ცოლად გაჰყვა სამხედრო პირს (რუსეთ-იაპონიის მონაწილეს), თბილისში სამხედრო შტაბის უფროსს - ზინობი ბართლომეს ძე ჩაპოძეს. სამწუხაროდ, მათ შთამომავალი არ დარჩენიათ.

დიმიტრი (მიტო) რევაზის ძე ამირაჯიბიც მუსიკოსი იყო (მევიოლინე), მისი ოჯახი უფრო იღბლიანი გამოდგა: გამრავლდა მისი ორივე შვილი - რევაზ დიმიტრის ძე ამირაჯიბი და ელისო დიმიტრის ასული ამირაჯიბი-წერეთლისა (ბორის წერეთელი - ექიმი, პროფესორი). რევაზ დიმიტრის ძე ამირაჯიბის შვილები არიან როლანდი და ელისო ამირაჯიბები, ხოლო ელისო ამირაჯიბის - ნაილი და დალი წერეთლები.

ელისაბედ და რევაზ ამირაჯიბებს კიდევ ერთი შვილი ჰყოლიათ - შუათანა ქალიშვილი - ნადეჟდა ამირაჯიბი. ნადეჟდამ თავისი მომავალი დაუკავშირა პოლიევქტოს კალანდაძეს (პოლიო ირეთელს). მათი ქალიშვილი კი ცეცლია კალანდაძე გახლდათ.

საქართველოს სათეატრო მუზეუმის ფონდში დაცული იყო ოცდაორ ფურცლიანი ალბომი, რომელიც ნოე ჩხიკვაძეს დრამატურგ პოლიო ირეთელის ქალიშვილის, ორი წლის ცეცილიასათვის, სათამაშოს ნაცვლად მიუძღვნია. ალბომის პირველ გვერდზე ნოე ჩხიკვაძის ავტოგრაფია ლექსით. მასშივეა შეტანილი შიო მღვიმელის, გიორგი ქუჩიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, თვით პოლიო ირეთელის ხელით ჩაწერილი ლექსებიც.

ცეცილია კალანდაძის მიერ 1984 წელს რუსულ ენაზე გამოიცა მონოგრაფია „ქართველების მონაწილეობა რუსეთის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში“.

ცეცილია კალანდაძის ძმა ლეონიდე (ლადო) კალანდაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იყო. მისი შრომები მიეძღვნა ისეთ პრაქტიკულ პრობლემებს, როგორიცაა ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ტყის მავნე მწერების წინააღმდეგ აგრეთვე მან შეადგინა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ენტომოლიგიური ტერმინების ლექსიკონი, რომელიც ჯერჯერობით ერთადაერთია და დიდი გამოყენება აქვს.

ლეონიდე კალანდაძის მეუღლე იყო ნინო ახვლედიანი, ცნობილი ქართველი მხატვრის - ელენე ახვლედიანის და.

ცეცილია კალანდაძის დისწული - ჯუმბერ ლომინაძე აკადემიკოსი იყო, მეცნიერ

ფიზიკოსი, პლაზმურ ფიზიკასა და ასტროფიზიკაში ფუნდამენტური გამოკვლევის ავტორი.

1981 წელს მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა გამომცე-მლობამ „პერგამონ პრესმა“ გამოსცა ჯუმბერ ლომინაძის მონოგრაფია „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ცეცილია კალანდაძის მეუღლე ვახტანგ ელიოზიშვილი იყო. „უფრთხილდით მეშჩანებს!“ - ასე უანდერძა თავის ოჯახის წევრებს ვახტანგმა. იგი იყო იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის მეშვიდე თაობის წარმომადგენელი. მან შეაგროვა ისეთი უნიკალური ფოტოები და ნივთები, როგორიცაა სოლომონ მეფის ტახტი, გიორგი XII-ის ნაქონი თასი, 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ეგზემპლარი, რომელიც საქართველოში მყოფი მიხაი ზიჩის დასურათებით.

ამ გენეტიკურად და სულიერად მდიდარი ოჯახის ტრადიციებს ერთი ქალიშვილი აგრძელებს - მარინა ელიოზიშვილი, რომელიც მხატვარია. ხელოვნებას ემსახურება მისი მეუღლეც, ლადო ასათიანი.

კოტე ელიოზიშვილი (1874-1954 წ.წ.) გორის ერთი პირველი ექიმთაგანი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, დაინტერესებული ყოფილა ქართული ლიტერატურითაც. მაგ.: იოსებ გრიშაშვილი სთხოვდა მას მასალებს „ცისკრის“ აქტიურ თანამშრომელზე იოსებ ელიოზიშვილზე, აკადემიკოსი აკაკი შანიძე კი სთხოვდა მიეკვლია ვინმე ნიკოლოზ ელიოზიშვილისათვის, რომლის ოჯახში ყოფილა დაცული „ვეფხისტყაოსნის“ XV საუკუნის ხელნაწერი. თავად კ. ელიოზიშვილი მეგობრობდა ნიკო ლომოურთან, იოსებ სრესელთან, გორის შესანიშნავ ინტელიგენციასთან.

კ. ელიოზიშვილის ვაჟი ვახტანგ ელიოზიშვილიც აქტიურად მეგობრობდა გორელებთან. რამდენჯერმე გაიმართა მისი ნახატების გამოფენები გორის ცენტრალურსა და საბავშვო ბიბლიოთეკებში. ამავე დროს იგი აწვდიდა უამრავ მასალას 1990-იან წლებში ჩამოყალიბებულ (ო. ჩუბინიძის ხელმძღვანელობით) გორის საკრებულოს სხვადასხვა სექციებს გორსა და მის რაიონში დაბადებულ თუ მოღვაწე ქართველი მწერლების და საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

ჩვენს სტატიაში მიმოხილული საკითხი ცხადყოფს იმ მნიშვნელოვან კვალს რომელიც შეასრულა პირველი ქართველი რეალისტი მხატვრის გიორგი მაისურაძის შთამომავლობამ XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე. იგი მნიშვნელოვანია ქართული კულტურის განვითარების გენეზისის შესწავლისათვის. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ჩავატარეთ გსიემ-ში დაცული უცნობი ახალგაზრდის პორტრეტის ავტორის და მასზე აღბეჭდილის იდენტიფი-კაციისათვის, მიგვიყვანა იმ ფართო კულტუროლოგიურ კავშირებამდე, რომლის ცენტრს წარმოადგენს პირველი ქართველი რეალისტი მხატვარი გიორგი მაისურაძე, მისი მეუღლის წინაპრები, სიძეები და შთამომავლები, ნათესავები და მეგობრები.

ბიბლიოგრაფია:

1. შ. კვასხვაძე (1958): გიორგი მაისურაძე, საბჭოთა საქართველო. თბილისი.

2.ი. სრესელი, (1976): კოტე ელიოზიშილი, საბჭოთა საქართველო. თბილისი.

3. გსიემში დაცული ელიოზიშვილების საარქივო მასალები;

4 მ. ელიოზიშვილის ოჯახში დაცული საარქივო მასალები.

5. ქსე, (1983): ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.6, თბილისი.

6. Шарвашидзе, (1974): Л. Жизнь: и творчество Григория Маисурадзе. ხელოვნება, ტ. 7, (სერია B);

Artists and Writers for Two Centuries in the Cultural-Religious Context

Barbakadze Ketevan
Gogoladze Tamar
Gori State Teaching University, Gori

Abstract

The history of Georgian painting is closely connected with the name of the 19th century artist Giorgi (Grigol) Maisuradze, who went through the way of demonstrating his artistic talent, from the family of peasants to the Brulov Academy and later working as a teacher of art. Giorgi Maisuradze's paintings are preserved in various museums in Kutaisi, and his following biography with his family and descendants still creates an interesting cultural gallery where famous Georgian artists, writers and scientists are presented. The artist's works has been thoroughly studied by an art critic Shalva Kvaskhkadze, and the present issue is from the history of Georgian culture.

საკვანძო სიტყვები: გიორგი მაისურაძე, მხატვარი, მწერლები
Keywords: Giorgi Maisuradze, artist, writers